

1940/2



საქართველოს საბჭოთავო სოციალისტური რესპუბლიკის  
მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1940 წ. ივნისი 8

№ 13

თბილისი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

49. „საქართველოს სსრ-ში ჩაის მეურნეობის, ციტრუსოვანი კულტურების, მევენახეობისა და ბარისზოვანი მეღვინეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებების თაობაზე“ გამოცემული სსრ კავშირის საბჭოთავო და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილების (წყალთა მეურნეობის დარგში) შესრულების ღონისძიებათა შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

50. მაღალიძაბვის ელექტროქსელის დაცვითი ზონის გამოყოფის შესახებ.

51. იმ საკომისიო გასამრჯელოს დარიცხვის წესის შეცვლის შესახებ, რომელსაც კომუნალური ბანკი ანდევინებს კაპიტალური მშენებლობის დაფინანსების ოპერაციებისთვის.



## სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ)

### ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

49. „საქართველოს სსრ-ში ჩაის მეურნეობის, ციტრუსოვანი კულტურების, მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებების თაობაზე“ გამოცემული სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილების (წყალთა მეურნეობის დარგში) შესრულების ღონისძიებათა შესახებ.

„საქართველოს სსრ-ში ჩაის მეურნეობის, ციტრუსოვანი კულტურების, მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წ. 25 აპრილს გამოცემული დადგენილების (სსრკ დადგ. კრ. 1940 წ. № 11, მუხ. 269) განსახორციელებლად—წყალთა მეურნეობის დარგში, საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაწესდეს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წ. 25 აპრილის დადგენილებით გათვალისწინებული წყალსამეურნეო მშენებლობის შემდეგი ობიექტები და შესრულების ვადები:

1. სეფოეთი-ვედითკარის მასივის ამოშრობა აბაშისა და გეგეჭკორის რაიონებში 1380 ჰექტარის ფართობზე, ისე, რომ მიღებულ იქნას ამოშრობილი მიწები 1940 წელს 550 ჰექტარი და 1941 წელს 830 ჰექტარი. მშენებლობა დაწყებულ იქნას 1940 წ. 20 ივნისს და სამუშაოები დამთავრებულ იქნას 1941 წ. 1 ივნისისათვის.

2. ცქემი-გეჯეთის მასივის ამოშრობა აბაშისა და ცხაკიას რაონებში 1100 ჰექტარის ფართობზე, ისე, რომ მიღებულ იქნას ამოშრობილი მიწები 1940 წელს 400 ჰექტარი და 1941 წელს 700 ჰექტარი. მშენებლობა დაწყებულ იქნას 1940 წ. 20 ივლისს და სამუშაოები დამთავრებულ იქნას 1941 წ. 1 მაისისათვის.

3. ხიბულის მასივის ამოშრობა ხობის რაიონში 1050 ჰექტარის ფართობზე. მშენებლობა დაწყებულ იქნას 1940 წ. 20 ივნისს და სამუშაოები დამთავრებულ იქნას 1940 წ. 15 დეკემბრისათვის.

4. ენგურ-ხუმუშკურის მასივის ამოშრობა გალის რაიონში 5.000 ჰექტარის ფართობზე, ისე, რომ მიღებულ იქნას ამოშრობილი მიწები 1941 წელს 1570 ჰექტარი, 1942 წელს 1500 ჰექტარი, 1943 წელს 1600 ჰექტარი და 1944 წელს 330 ჰექტარი.

მშენებლობა დაწყებულ იქნას 1940 წ. 1 ივლისს სამუშაოები დამთავრებულ იქნას 1944 წ. 1 დეკემბრისათვის.

5. თიკორი-ენგურის მასივის ამოშრობა ზუგდიდის რაიონში 3500 ჰექტარის ფართობზე, ისე რომ მიღებულ იქნას ამოშრობილი მიწები 1941 წელს 1000 ჰექტარი, 1942 წელს 1000 ჰექტარი, 1943 წელს 1000 ჰექტარი და 1944 წელს 500 ჰექტარი.



მშენებლობა დაწყებულ იქნას 1941 წელს 1 მარტს და სამუშაოებმა დათავრებულ იქნას 1944 წ. 1 დეკემბრისათვის.

6. სიღა-ნაბაკევის მასივის ამოშრობა გალის რაიონში 5.320 ჰექტარის ფართობზე. ისე, რომ მიღებულ იქნას ამოშრობილი მიწები 1942 წელს 1.400 ჰექტარი, 1943 წელს 1.400 ჰექტარი და 1944 წელს 2.520 ჰექტარი.

მშენებლობა დაწყებულ იქნას 1942 წ. 1 მარტს და სამუშაოებში დამთავრებულ იქნას 1944 წ. დამლევისათვის.

7. კახაბერის ველის ამოშრობა აჭარის ასსრ ბათუმის რაიონში 1.000 ჰექტარის ფართობზე, ისე რომ მიღებულ იქნას ამოშრობილი მიწები 1941 წელს 400 ჰექტარი და 1942 წელს 600 ჰექტარი.

მშენებლობა დაწყებულ იქნას 1941 წ. 1 თებერვალს და სამუშაოებში დამთავრებულ იქნას 1942 წლის დამლევისათვის.

8. აჯამეთის სარწყავი არხის მშენებლობა ზესტაფონის, ქუთაისისა და მაიაკოვსკის რაიონებში 5.000 ჰექტარი ახალი ფართობების მოსარწყავად, ისე რომ მიღებულ იქნას მიწები 1942 წელს 2.000 ჰექტარი და 1943 წელს 3.000 ჰექტარი.

მშენებლობა დაწყებულ იქნას 1941 წ. 1 თებერვალს და სამუშაოებში დამთავრებულ იქნას 1943 წ. 1 აგვისტოსათვის.

ჩატარებულ იქნას აჯამეთის არსებული სარწყავი ქსელის რეკონსტრუქცია 1941 წელს 1.000 ჰექტარის ფართობზე.

9. კეხვის სარწყავი არხის მშენებლობა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში 2.400 ჰექტარი ახალი ფართობების მოსარწყავად, ისე რომ მიღებულ იქნას მიწები 1940 წელს 2.000 ჰექტარი და 1941 წელს 400 ჰექტარი.

მშენებლობა დაწყებულ იქნას 1940 წ. 20 ივნისს და სამუშაოები დამთავრებულ იქნას 1941 წ. 1 ოქტომბრისათვის.

ჩატარდეს კეხვის არსებული სარწყავი ქსელის რეკონსტრუქცია 1941 წელს 1.260 ჰექტარის ფართობზე.

10. სალთვინის სარწყავი არხის მშენებლობა გორის რაიონში 7.400 ჰექტარი ახალი ფართობების მოსარწყავად, ისე რომ მიღებულ იქნას მიწები 1942 წელს 5.400 ჰექტარი და 1943 წელს 2.000 ჰექტარი.

მშენებლობა დაწყებულ იქნას 1942 წლის დამდეგიდან და სამუშაოებში დამთავრებულ იქნას 1943 წლის დამლევისათვის.

ჩატარდეს სალთვინის არსებული სარწყავი ქსელის რეკონსტრუქცია 11.200 ჰექტარის ფართობზე, მათ შორის 1942 წელს 2.200 ჰექტარზე და 1943 წელს 9.000 ჰექტარზე.

11. დოღლაურის ველის სარწყავი არხის მშენებლობა ხაშურის, გორისა და ქარელის რაიონებში 11.600 ჰექტარი ახალი ფართობების მოსარწყავად, ისე რომ მიღებულ იქნას მიწები 1941 წელს 600 ჰექტარი, 1942 წელს 4000 ჰექტარი, 1943 წელს 3.500 ჰექტარი და 1944 წელს 3.500 ჰექტარი.

მშენებლობა დაწყებულ იქნას 1941 წლის პირველ კვარტალში და სამუშაოები დამთავრებულ იქნას 1944 წ. 1 ოქტომბრისათვის.

12. სოღანლულის სარწყავი ქსელის მშენებლობა თბილისის რაიონში 6.000 ჰექტარის მოსარწყავად, მათ შორის 5.100 ჰექტარის ახლად მოსარწყავად, ისე რომ მიღებულ იქნას მიწები 1940 წელს 800 ჰექტარი, 1941 წელს 2.000 ჰექტარი და 1942 წელს 2.300 ჰექტარი.

მშენებლობა დაწყებულ იქნას 1940 წ. 1 ივლისს და სამუშაოები დამთავრებულ იქნას 1942 წ. 1 დეკემბრისათვის.

13. ტირიფონის სარწყავი სისტემის დამთავრება გორის რაიონში 13.600 ჰექტარის ფართობზე, მათ შორის 1941 წელს 3.500 ჰექტ., 1942 წელს 4.500 ჰექტარი და 1943 წელს 5.600 ჰექტარი.

მშენებლობა დაწყებულ იქნას 1941 წ. 1 მარტს და სამუშაოები დამთავრებულ იქნას 1943 წლის დამლევისათვის.

14. ალაზნის სარწყავი სისტემის დამთავრება თელავის, გურჯაანის, სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონებში 33.593 ჰექტარის ფართობზე, მათ შორის 1941 წელს 10.000 ჰექტარი და 1942 წელს 23.593 ჰექტარი.

მშენებლობა დაწყებულ იქნას 1941 წ. 1 მარტს და სამუშაოები დამთავრებულ იქნას 1942 წლის დამლევისათვის.

დიევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს შვიმუშაოს ლონისძიებანი, რომლებიც აუცილებელია, რათა თავიდან აცილებულ იქნას ალაზნის არხის საშუალებით მოსარწყავი ფართობების დამლავება და დაქაობიანება. ეს სამუშაოები ჩატარებულ იქნას აღნიშნული არხის მშენებლობის დამთავრებისას.

15. ჩატარდეს ყარაიას სარწყავი სისტემის კაპიტალური რემონტი 15.876 ჰექტარის ფართობზე, მათ შორის ყარაიას რაიონში 12.120 ჰექტარის ფართობზე და აზერბაიჯანის სსრ აქსტაფის რაიონში 3.756 ჰექტარის ფართობზე, შემდეგ ვადებში:

1942 წელს—4.500 ჰექტ., 1943 წ.—5.000 ჰექტ., და 1944 წელს—6.376 ჰექტარი.

16. მდინარე ცხენისწყალის რეგულირება, რაც ხორციელდება იმ მიზნით, რომ დაცულ იქნას წყალდიდობისაგან აბაშის, გეგეჭკორის, წულუკიძის და სამტრედიის რაიონების ნარგავები, ნათესები და დასახლებული პუნქტები.

აღნიშნული სამუშაოები დაწყებულ იქნას 1940 წ. 1 ივლისს და დამთავრდეს 1942 წლის დამლევისათვის.

17. მდინარე ქოროხის რეგულირება აჭარის ასს რესპუბლიკაში, რაც ხორციელდება იმ მიზნით, რომ ბათუმის რაიონის კახაბერის ველზე დაცულ იქნას მიწები წყალდიდობისაგან და ნაპირების დანგრევისაგან.

აღნიშნული სამუშაოები დაწყებულ იქნას 1942 წლის 1-ლ კვარტალში და დამთავრდეს 1944 წლის დამლევისათვის.

II. ამ დადგენილებით განსაზღვრული სამუშაო ობიექტების ნუსხის საფუძველზე მათი შესრულების ვადების შესაბამისად დამტკიცებულ იქნა საქ. სსრ წყალსამურნეო მშენებლობის კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 1940 წლისათვის 6.700 ათასი მანეთის რაოდენობით, მათ შორის საქავეშირო ბიუჯეტით—4.400 ათასი მანეთი და კოლმურნეობათა სახსრების ხარჯზე 2.300 ათასი მანეთი, რაც შემდგენიერად განაწილდეს სამუშაო ობიექტების მიხედვით:

№№ რიგზე	ობიექტების სახელწოდება	ღირებულება ათას მანეთობით	მათ შორის	
			საკ. ბიუჯეტით	კოლმურნეობათა სახსრებით
1	<b>მასივების ამოშრობა:</b>			
	ა) სეფეთი—ვედიტარის . . . . .	600,0	400,0	200,0
	ბ) ცქემი—გეჯეთი . . . . .	400,0	280,0	120,0
	გ) ზიბულა . . . . .	500,0	350,0	150,0
	დ) ენგური—ხუმუშკური . . . . .	150,0	150,0	—
2	სოღანლულის პირველი ზონის მორწყვა . . . . .	900,0	500,0	400,0
3	კეხვის არხი . . . . .	1700,0	900,0	800,0
4	მდინარე ცხენისწყალის რეგულირება . . . . .	1635,0	1005,0	630,0
5	შემდგომი წლების ობიექტების დაპროექტება . . . . .	815,0	815,0	—
	<b>ს უ ლ . . . . .</b>	<b>6700,0</b>	<b>4400,0</b>	<b>2300,0</b>

III. დამტკიცდეს 1940 წლისათვის წყალთა მურნეობის დარგში საპროექტო-საგამოკვლევო სამუშაოთა შემდგომი ობიექტები და მათი შესრულების ვადები:

№№ რიგზე	ობიექტების სახელწოდება	სამუშაოთა სახეები	ღირებ. ათას მანეთ.	დაპროექტების დამთავრების ვადა
	<b>ა) 1940 წლის მშენებლობის ობიექტები</b>			
1	სოღანლულის მასივის მორწყვა . . . . .	გამოკვლევა ტექნ. პროექტი	75,0	15/VI—1940 წ.
2	ჩაის მასივების (სეფეთი ვედიტარის, ცქემი—გეჯეთის, ზიბულის) ამოშრობა.	ტექნიკური პროექტების საბოლოოდ დამუშავება	70,0	20/VI—1940 წ.
3	კეხვის არხი . . . . .	ტექნიკური პროექტის საბოლოოდ დამუშავება	50,0	15/VI—1940 წ.

№№ რიგ.	ობიექტების სახელწოდება	სამუშაოთა სახეები	ღირებ. ათას მანეთ.	დაპროექტების დამთავრების ვადა
4	მდინარე ცხენისწყალის რეგულირება.	ტექნ. პროექტ. საბოლოოდ დამუშავება (1940 წ. საღმშ. სამუშ. მოცულობით)	60,0	15/VI - 1940 წ.
<b>ბ) 1941 და შემდგომი წლების მშენებლობის ობიექტები</b>				
5	სიღანლუღის II და III ზონების მორწყვა.	გამოკვლევა და საპროექტო დავალება	145,0	I/XII - 1940 წ.
6	აჯამეთის მასივის მორწყვა.	გამოკვლევა, საპროექტო დავალება, ტექნიკური პროექტი	220,0	I/XII - 1940 წ.
7	დოდლაურის ველის მასივის მორწყვა.	გამოკვლევა, საპროექტო დავალება, ტექნიკური პროექტი.	200,0	I/XI - 1940 წ.
8	თიკორი - ენგურის მასივის ამოშრობა.	გამოკვლევა, საპროექტო დავალება, ტექნიკური პროექტი.	150,0	I/XII - 1940 წ.
9	ენგური - ზუმუშკერის მასივის ამოშრობა.	გამოკვლევა, საპროექტო დავალება	100,0	I/XI - 1940 წ.

IV. დაწესდეს, რომ საპროექტო-საგამოკვლევო სამუშაოებს შეასრულებს საქ. სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საქსოფლმშენპროექტი, საქ. წყალთა-მეურნეობის სამმართველოსთან ხელშეკრულების საფუძველზე გარდა 1940 წლის მშენებლობის ტექნიკური პროექტების დამთავრებისა, რასაც უშუალოდ მშენებელნი შეასრულებენ.

V. დაწესდეს შემდეგი წესი ლიმიტგარეშე წყალსამეურნეო მშენებლობის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების განხილვისა, რომლებიც დამტკიცებულ უნდა იქნას საქ. სსრ სახალხო კომისარიატის საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ:

ა) საგვემო დავალებებს დასაპროექტებელ წყალსამეურნეო ობიექტებისათვის განსაზღვრავს და ამტკიცებს საქ. სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის;



ბ) საპროექტო დავალებას ამტკიცებს საქ. სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარი;

გ) ტექნიკურ პროექტს განიხილავს საქ. სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარი, და სამუშაოთა ორგანიზაციის გეგმასთან ერთად, რაც შეთანხმებული უნდა იყოს მშრომელთა დეპუტატების სათანადო რაიონულ საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან და საქ. კ. პ. (ბ) რაიონულ კომიტეტებთან, პროექტი უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს.

VI. დაევალოს საქ. სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს წარუდგინოს საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს განსახილველად და დასამტკიცებლად 1940 წლის მშენებლობის ობიექტების ტექნიკური პროექტები შემდეგ ვალებში:

- ა) სოლანლუღის პირველი ზონის მორწყვა . . . . . 1 ივლისს
- ბ) სტეფეთი—ვედითკარის მასივის ამოშრობა . . . . . 25 ივნისს
- გ) ცქემი—გეჯეთის მასივის ამოშრობა . . . . . 25 ივნისს
- დ) ხიბულის მასივის ამოშრობა . . . . . 15 ივნისს
- ე) კეხვის არხი . . . . . 25 ივნისს
- ვ) მდინარე ცხენისწყალის რეგულირება . . . . . 25 ივნისს

VII. 1940 წლის ლიმიტარეშე წყალსამეურნეო მშენებლობის მიღებული გეგმის შესაბამისად და საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წ. 14 თებერვლის № 232 დადგენილების № 20 დანართის მუხ. 12-ის ნაწილობრივ შესაცვლელად, დამტკიცებულ იქნას 1940 წლისათვის სალიმიტო წყალსამეურნეო მშენებლობის კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 1830 ათასი მანეთის რაოდენობით, მათ შორის: საქ. სსრ ბიუჯეტით—1719 ათასი მანეთი და კოლმეურნობათა სახსრების ხარჯზე—111 ათასი მანეთი, რაც შემდეგნაირად განაწილდეს ობიექტების მიხედვით:

№№ ობიექტები	ობიექტების სახელწოდება	ლიტრები ათას მანეთ.	მათ შორის	
			საქ. სსრ ბიუჯეტით	კოლმეურნობათა სახსრებით
<b>ა. შიდროტექნიკური მშენებლობა</b>				
1	პილენკოვო—ერმოლოვკის დაბლობის ამოშრობა . . . . .	674	638	36
2	დიმი—როკითის არხის მშენებლობის დამთავრება . . . . .	20	20	—
3	ბირკიანის ჯებირის მშენებლობის დამთავრება . . . . .	100	60	40
4	ენგურ—გალის არხის აღდგენა . . . . .	70	35	35
ს უ ლ . . . . .		864	753	111

№ რიგზე	ობიექტების სახელწოდება	ლირებ. ათას მანეთ.	მათ შორის	
			საქ. სსრ ბიუჯე- ტით	კომლუფურ- ნეობათა სახსრე- ბით
<b>ბ. სამოქალაქო მშენებლობა</b>				
5	გარაჟი ავტომანქანებისათვის გორის წყალთა მეურ- ნეობის რაიონში . . . . .	50	50	—
6	მექანიკური სახელოსნო ყარაიას წყალთა სამეურ- ნეო რაიონში . . . . .	40	40	—
7	გარაჟი საგარეჯოს წყალთა სამეურნეო რაიონში . . . . .	21	21	—
8	გარაჟი თელავის წყალთა სამეურნეო რაიონში . . . . .	18	18	—
9	გარაჟი ხაშურის წყალთა სამეურნეო რაიონში . . . . .	13	13	—
10	სამასალო საწყობი წულუკიძის წყალთა სამეურნეო რაიონში . . . . .	13	13	—
11	სახლი თბილისის წყალთა სამეურნეო რაიონის კანტორისათვის . . . . .	150	150	—
ს უ ლ . . . . .		305	305	—
<b>გ. საბინაო მშენებლობა</b>				
12	საცხოვრებელი სახლი გორის წყალთა სამეურნეო რაიონში . . . . .	67	67	—
13	საცხოვრებელი სახლი ყარაიას წყალთა სამეურნეო რაიონში . . . . .	67	67	—
14	საცხოვრებელი სახლი ხაშურის წყალთა სამეურნეო რაიონში (ქარელი) . . . . .	67	67	—
15	საცხოვრებელი სახლი ბორჩალოს წყალთა სამეურ- ნეო რაიონში . . . . .	67	67	—
ს უ ლ . . . . .		268	268	—
<b>დ. შეძენის ხარჯები</b>				
16	გრეიდერების შეძენა . . . . .	60	60	—
<b>ე. საპროექტო საგამოკვლევო სამუშაოები</b>				
17	დიღმის მესამე ზონის ტექნიკური პროექტი . . . . .	26	26	—
18	იადლუჯის ტექნიკური პროექტი . . . . .	10	10	—
19	ერედვის საპროექტო დავალება . . . . .	150	150	—
20	ერწო-თიანეთის ამოწრობის სამუშაოთა საპროექტო დავალება . . . . .	140	140	—
21	ოცარცის ჯებირის ტექნიკური პროექტი . . . . .	7	7	—
ს უ ლ . . . . .		333	333	—
<b>ჯ ა მ ი . . . . .</b>		1830	1719	111



VIII. დაევალოს საქართველოს საექსკავატორო სადგურს გამოჰყოს 1940 წელს საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს სამუშაოებისათვის მიწის ამოსალეები ერთი პატარა მანქანა და აწარმოოს სამუშაოები საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან ხელშეკრულების საფუძველზე.

IX. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წ. 7 აპრილის გადაწყვეტილების შესასრულებლად შეიქმნას საქ. სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე მატერიალური მომარაგების კანტორა „წყალმშენმომარაგება“, რომელსაც დაევალოს საქართველოს სსრ საალმშენებლო ობიექტებისა და წყალთა სამეურნეო რაიონების მომარაგება.

დაევალოს საქ. სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—საქ. სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად ორი დეკადის განმავლობაში განიხილონ წყალმშენმომარაგების საწარმოო-საფინანსო გეგმა, დამტკიცოს შტატები, განსაზღვროს აუცილებელ საბრუნავ სახსრების რაოდენობა და თავისი წინადადებანი წარუდგინოს დასამტკიცებლად საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს  
თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის  
მდივანი კ. ჩარკვიანი.

1940 წ. მაისის 15. № 867.  
თბილისი.

## სახალხო კომისარტა საბჭოს დადგენილებანი

50. მაღალიძაბვის ელექტროქსელის დაცვითი ზონის გამოყოფის შესახებ.

შესაბამისად „წესებისა მაღალიძაბვის ელექტროქსელების მოწყობისა და დაცვის შესახებ“, რაც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახალხო კომისარტა საბჭოს 1939 წლის 7 ოქტომბრის დადგენილებით, (სსრკ დადგ. კრ. 1939 წ. № 54, მუხ. 492) საქართველოს სსრ სახალხო კომისარტა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს „გლავიუჟენერგოს-საქენერგოს“ საქართველოს რაიონული სამართველოს გადამცემი ხაზის ტრასის ვასწვრივ დაცვითი ზონა შემდეგი ზომისა, ელექტროგადამცემი მაღალიძაბვის და კავშირგაბმულობის იმ ხაზებისათვის, რომლებიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გადიან:

### I. 6,6 კილოვოლტი ძაბვის გადამცემი ხაზები:

განაპირა სადენებიდან ორივე მხარეზე დასახლებულ ადგილებს გარეთ 10 მეტრი და დასახლებულ პუნქტებში 7 მეტრი.

ა) ქუთაისის პირველი ქვესადგურიდან ქუთაისის მეორე ქვესადგურამდე 2 კილომეტრის მანძილზე;

ბ) სამტრედიის ქვესადგურიდან სამტრედია-წვევის ქვესადგურამდე 1 $\frac{1}{2}$  კილომეტრი;

გ) ტყვარჩელის რაიონული თბოსადგურიდან ტყვარჩელქვანახშირის თბო-ელექტრო სადგურამდე—1 $\frac{1}{2}$  კილომეტრი;

დ) ზესტაფონის ქვესადგურიდან ზესტაფონ-წვევის ქვესადგურამდე 1 $\frac{1}{2}$  კილომეტრი;

ე) ზაპენის სადგურიდან ნატახტარამდე, ზაპენის სადგურიდან ავჭალის წყალსადენამდე—22 კილომეტრი.

### II. 22 და 35 კილოვოლტი ძაბვის გადამცემი ხაზები:

განაპირა სადენებიდან ორივე მხარეზე დასახლებული ადგილების გარეთ 15 მეტრი და დასახლებულ პუნქტებში 10 მეტრი.

ა) რიონჰესიდან ქუთაისის პირველ ქვესადგურამდე 6,03 კილომეტრი;

ბ) რიონჰესიდან რიონ-წვევის ქვესადგურამდე—0,3 კილომეტრი;

გ) ქუთაისის პირველი ქვესადგურიდან ტყიბულის ქვესადგურამდე 30,6 კილომეტრი;

დ) ქუთაისის მეორე ქვესადგურიდან წულუკიძე-სამტრედიის, წულუკიძე-აბჭენის ქვესადგურამდე, ცხაკაიას ქვესადგური, ფოთის ქვესადგური 135 კილომეტრის მანძილზე;

ე) ზესტაფონის ქვესადგურიდან ქიათურის ქვესადგურამდე—32,5 კილომეტრი;

ვ) ზაჭესიდან დიდუბის ქვესადგურამდე—ნაძალადევის ქვესადგურამდე—ავლაბრის ქვესადგურამდე—ნავთლულის ქვესადგურამდე—ნავთლულ წვივის ქვესადგურამდე—სართიჭალის ქვესადგურამდე—58,7 კილომეტრი;

ზ) ზაჭესიდან ცენტროლიტის ქვესადგურამდე—5 კილომეტრი;

თ) დიდუბის ქვესადგურიდან მთავარ ქვესადგურამდე—4,5 კილომეტრი.

### III. 110 კილოვოლტი ძაბვის გადამცემი ხაზები.

განაპირა სადენების ორივე მხარეზე დასახლებული პუნქტების გარეთ 20 მეტრი და დასახლებულ პუნქტებში—15 მეტრი;

ა) რიონჭესიდან ზესტაფონის ქვესადგურამდე—მოლითის ქვესადგურამდე ხაშურის ქვესადგურამდე—გორის ქვესადგურამდე—კასპის ქვესადგურამდე—ზაჭესის ქვესადგურამდე—192 კილომეტრი;

ბ) რიონჭესიდან სამტრედიის ქვესადგურამდე—ცხაკაიას ქვესადგურამდე—ზუგდიდის ქვესადგურამდე—ტყვარჩელის სადგურამდე—147,4 კილომეტრი;

გ) აწჭესის სადგურიდან ბათუმის ქვესადგურამდე—27 კილომეტრი.

2. დაწესდეს კავშირგაბმულობის ხაზის ტრასის გასწვრივ ერთმეტრიანი დაცვითი ზონა ელექტროგადამცემი ხაზის ყველა უბანზე ამ დადგენილების პირველი პუნქტის შესაბამისად.

3. გამოიყოს და საქენერგოს მიემაგროს მიწის ნაკვეთები 20—220 კილოვოლტი ძაბვის გადამცემი ხაზის არსებული საყრდენებისათვის (გარდა იმ ფართობისა, რაც ამ საყრდენებს უჭირავს)—ზონა ამ საყრდენებს ირგვლივ 3-დან 5 მეტრამდე.

ნაკლები ძაბვის საპაერო ხაზების საყრდენებისა და კავშირგაბმულობის ხაზების იმ საყრდენების ირგვლივ, რომლებიც მომსახურეობას უწევენ ელექტროქსელს—ერთმეტრიანი ზონა.

4. დაწესდეს, რომ ელექტროგადამცემი მაღალიძაბვის ხაზებისა და კავშირგაბმულობის ხაზების დაცვითი ზონა არ შეიძლება ჩამოერთვას მიწათმოქმედებებს; აღნიშნულ ზონებში მიწის ნაკვეთების გამოყენება ხდება თანახმად „წესებისა მაღალიძაბვის ელექტროქსელების მოწყობისა და დაცვის შესახებ“, რაც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1939 წლის 7 ოქტომბერს (სსრკ დადგ. კრ. 1939 წ. № 54, მუხ. 492).

5. იმ მიზნით, რომ საქენერგოს მიემაგროს მიწები გადამცემი მაღალიძაბვის ხაზებისა და კავშირგაბმულობის ხაზების საყრდენებისათვის, წინადადება მიეცეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, აგრეთვე შრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების სათანადო აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) გააფორმონ ამ მიწების ჩამორთმევა თანახმად სსრ კავშირის მიწათ-  
მოქმედების სახალხო კომისარიატის 1940 წლის 25 მარტის № 320/323 გან-  
მარტებისა „სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქიროებისათვის კოლმეურ-  
ნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან მიწების ჩამორთმევის საკითხების  
მომზადებისა და განხილვის წესის შესახებ“;

ბ) აიკრძალოს 1940 წლის 1 ივნისიდან მაღალტანიანი ხეების დარგვა და  
რაიმე შენობების აგება ელექტროგადამცემი ხაზების დაცვითი ზონის ტერი-  
ტორიაზე.

6. წინადადება მიეცეს საქენერგოს და სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც  
ელექტროგადამცემ ხაზებს აშენებენ, ელექტროგადამცემის ახალი ხაზების მშენებ-  
ლობის დროს მტკიცედ იხელმძღვანელონ „წესებით მაღალიძაბვის ელექტროქსე-  
ლების მოწყობისა და დაცვის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1939 წ. № 54,  
მუხ. 492).

ტრასის ამორჩევა აწარმოონ ადგილობრივ რაიონულ ორგანიზაციებთან  
ერთად, რაც შემდგომ დასამტკიცებლად წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სა-  
ხალხო კომისართა საბჭოს.

7. წინადადება მიეცეს საქენერგოს, ქართულ ენაზე სთარგმნოს და დაბეჭ-  
დოს არსებული „წესები მაღალიძაბვის ელექტროქსელების მოწყობისა და და-  
ცვის შესახებ“, რაც დამტკიცებულია 1939 წლის 7 ოქტომბერს, (სსრკ დადგ. კრ.  
1939 წ. № 54, მუხ. 492) და სახელმძღვანელოდ დაუგზავნოს. რაიონულ აღმა-  
სრულებელ კომიტეტებს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ ამ მიზნისათვის გამო-  
უყოს საქენერგოს მაისში 10 კილოგრამი ქალაღლი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1940 წ. მაისის 17. № 880.

თბილისი.

მუხ. 57  
 1939 წლის  
 12 თვის

51. იმ საკომისიო გასამრჯელოდ დარიცხვის წესის შეცვლის შესახებ, რომელსაც კომუნალური ბანკი ახდევინებს კაპიტალური მშენებლობის დაფინანსების ოპერაციებისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გაუქმებულ იქნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 10 სექტემბრის დადგენილება „კაპიტალური მშენებლობის ფინანსირების ოპერაციების მომსახურების გამო საქართველოს კომუნალური ბანკისათვის საკომისიო ანაზღაურების დაწესების შესახებ“. (საქ. სსრ დადგ. კრ. 1939 წ. № 20, მუხ. 85).

2. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარს ამხ. ციმაკურიძეს ორი დეკადის ვადაში წარმოადგინოს წინადადება კომუნალური ბანკის მიერ კაპიტალური მშენებლობის დაფინანსების მომსახურების ხარჯების დაფარვის წესის შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის  
 მოადგ. ბ. ჯვარიშვიშვილი.

1940 წ. მაისის 29. № 938.

თბილისი.

Handwritten text in Georgian script, including the number 2 and the word 'კომუნისტი' (Kommunisti).

0-580/300

გამომცემელი: საქართველოს ხსრ ხანალობო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში ხელწერილის ქვეშ.

მისამართისათვის



ფახი 40 კაპ.

Handwritten signature in blue ink, possibly 'ყუყუაძე'.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. Полиграфкомбинат „Комунисти“, имени Л. П. Берия, Тбилиси, ул. Ленина № 28.